საქართველოს ეროვნული არქივის

# ანგარიში 2023



## ეროვნული საარქივო ფონდი

- ეროვნული საარქივო ფონდი 2023 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი მასალით შეივსო:
- თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრის საარქივო მასალა – აფიშები, სპექტაკლების პროგრამები, მუსიკალური ნოტები;
- გადასაღები მოედნების ფოტოები კინოფილმებიდან „დიდი მწვანე ველი", „პირველი მერცხალი", „სინემა", „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე", „ამაღლება" და სხვ.
- ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ შექმნილი ფოლკლორული ანსამბლებისა და ცალკეული შემსრულებლების ჩანაწერები;
- 1648 წელს ნიკოლა სანსონის მიერ შედგენილი და გამოცემული "შავი ზღვის რუკა", ჟოზეფ ნიკოლა დელილის 1776 წელს გამოცემული „საქართველოს რუკა" და ნიკოლა სანსონისა და ძმებ გიიომ და ჟოზეფ ნიკოლა დელილების მიერ შედგენილი შავი ზღვისა და საქართველოს კარტოგრაფიული რუკები.





## საცნობარო მომსახურება

- მოქალაქეებზე გაიცა 22 600-მდე ცნობა
- მიწის სისტემური რეგისტრაციის პროექტის ფარგლებში გაიცა 571 600-მდე ცნობა
- მიწის სპორადული რეგისტრაციის პროექტის ფარგლებში გაიცა 12 500-მდე ცნობა



## მკვლევართა მომსახურება

სამკითხველო დარბაზები მოემსახურა 1995 მკვლევარს, მათ შორის უცხო ქვეყნის 65 მოქალაქეს.



## დოკუმენტების რესტავრაცია

მიმდინარე წელს ეროვნული არქივის რესტავრატორები აქტიურად მუშაობდნენ XII-XIII საუკუნეების ქურაშის ოთხთავის სახარებაზე, რომელიც ეტრატზეა შესრულებული და პალიმფსესტურ ფურცლებს შეიცავს. ამ ეტაპზე რესტავრირებულია 151 ეტრატის ფურცელი. სარესტავრაციო სამუშაოები 2024 წლის აპრილში დასრულდება და ხელნაწერი სრულიად აღდგენილი სახით დაუბრუნდება სოფელ ეცერის თემს.



რესტავრაცია ჩაუტარდა არქივში დაცულ 22 542 ფურცელს, 2 ფოტოალბომს, 5 რუკას; პერიოდულ პრესას, 87 ტექნიკურ ნახაზს.

## დიგიტალიზაცია

დოკუმენტის დედნების უკეთ დაცვისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, ციფრულ ფორმატში გადავიდა წერილობითი დოკუმენტების 1 743 792 გვერდი, 9 995 ფოტო, 132 კინოდოკუმენტი და 120 აუდიოჩანაწერი.



## ელექტრონული არქივაცია

გრძელდება ეროვნული არქივის დაკომპლექტების წყარო-ორგანიზაციათა რეესტრისა და მათთან დაცული საარქივო ელექტრონული დოკუმენტების მონაცემების შეგროვება და შესაბამის პროგრამაში ასახვა. 2023 წლის განმავლობაში აღიწერა 950 ორგანიზაცია.

## ინფრასტრუქტურის განვითარება

გრძელდება შიდა ქართლის რეგიონული არქივის ახალი შენობის სამშენებლო სამუშაოები; დასრულდა ხაშურის რეგიონული არქივის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები; მიმდინარეობს მცხეთა-მთიანეთის რეგიონული არქივის შენობისა და არქივის საიმიჯო სტენდის პროექტების მომზადება.





## სამეცნიერო პროექტები

- ეროვნული არქივის მე-8 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები" დავით აღმაშენებლის 950 წლის იუბილეს მიეძღვნა და მე-12 საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხებზე ცალკე სექცია გაიმართა. კონფერენციაში 168 ქართველი და უცხოელი მეცნიერი მონაწილეობდა;
- თბილისის N178 საჯარო სკოლის გამარჯვებით დასრულდა საგანმანათლებლო პროექტი სკოლებისთვის „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა". პროექტში 67 საჯარო და კერძო სკოლის გუნდი მონაწილეობდა;
- გამოიცა წიგნი „ქართული ხელნაწერები და ისტორიული საბუთები", რომელიც საარქივო ფონდებში დაცულ ხელნაწერებსა და ისტორიულ საბუთებს აერთიანებს;
- 1924 წელს ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყებიდან 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით მომზადდა ვიდეორგოლი „ვებრძოდით, ვებრძვით და ვებრძოლებით!", რომელიც 1921-24 წლებში ბოლშევიკური რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიას ეძღვნება;
- მომზადდა ორი ელექტრონული კატალოგი – „ერეკლე მეორე" და „ხელნაწერთა ანალიტიკური კატალოგი".










## საერთაშორისო თანამშრომლობა

- საარქივო დოკუმენტების ასლების გაცვლის, დოკუმენტების კონსერვაცია-რესტავრაციის სფეროში გამოცდილების გაზიარების, ასევე ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით საბერძნეთის გენერალურ სახელმწიფო არქივთან თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა;
- კინოარქივების საერთაშორისო ფედერაციასთან (FIAF) თანამშრომლობით ეროვნული არქივის დელეგაციამ თბილისის საარქივო ფილმების საერთაშორისო ფესტივალი FIAF-ის მე-8 ზამთრის სკოლაზე „კინომემკვიდრეობის პროგრამირება" პარიზში წარადგინა;
- თბილისის საარქივო ფილმების საერთაშორისო ფესტივალი მეორედ გაიმართა. ფესტივალზე წარმოდგენილი იყო მსოფლიოს 15 ქვეყნის საარქივო და კინოინსტიტუციაში დაცული 38 დოკუმენტური, მხატვრული და ანიმაციური ფილმი;
- არქივების საერთაშორისო საბჭოს (ICA) მიერ ორგანიზებული კონგრესი საარქივო სფეროში არსებული სიახლეების, თანამედროვე მიდგომების, უცხოური გამოცდილების გაზიარების, კოლეგებთან ახალი პროექტების დაგეგმვისა და თანამშრომლობის გაღრმავების მნიშვნელოვანი საშუალებაა. კონგრესის ფარგლებში ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა მონაწილეობა მიიღო არქივების საერთაშორისო საბჭოს (ICA), ასევე მისი ევროპული განყოფილების (EURBICA) გენერალური ასამბლეის სხდომებში, რომელზეც 2024 წლის გეგმები განიხილეს და კენჭი უყარეს სხვადასხვა მიმდინარე საკითხს;
- საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ვახუშტი ბატონიშვილის ატლასი კულტურის საერთაშორისო ფესტივალ „ევროპალია-საქართველოს" ფარგლებში ბრიუსელის ისტორიისა და ხელოვნების მუზეუმში ექსპოზიციაზე „საქართველო – შეხვედრების ადგილი" გამოიფინა.











## გამოფენები და ლონისძიებები

ეროვნული არქივის საგამოფენო პავილიონში ოთხი გამოფენა მოეწყო: „საქართველო XVI-XVIII საუკუნეების ნიდერლანდურ-რუკებსა და გრავიურებზე"; „ნინო ჯორჯაძე კავკასიის ფრონტი (1914-1918) "; „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა"; „სოხუმი".
ეროვნული არქივის კინოთეატრში გაიმართა: ელდარ შენგელაიას 90 წლის საიუბილეო რეტროსპექტივა; ჩინური ფილმების რეტროსპექტივა; ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი.
ჩატარდა საჯარო ლექციები: „საქართველო XVI-XVIII საუკუნეების ნიდერლანდურ რუკებსა და გრავიურებზე", „100 წელი „სამხედრო ცენტრის" 15 ოფიცრის დახვრეტიდან";
„ნორჩ ისტორიკოსთა სკოლის" მოსწავლეებმა სხვადასხვა თემაზე ეროვნულ არქივში არაერთი ლექცია მოისმინეს.





## დოკუმენტების პოპულარიზაცია

ეროვნული არქივის ვებგვერდზე ონლაინფორმატში მომზადდა გამოფენა „საქართველო და აშშ-ის დიპლომატიური ურთიერთობის ისტორია; შეიქმნა მულტიმედიური გვერდები მედეა ჯაფარიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, ევგენი მიქელაძის, ნიკო ნიკოლაძის შესახებ; ინტერნეტსივრცეში განთავსდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტები, ცნობილი ადამიანების შარჟები, ვანო ქიქოძის, ნიკოლოზ საღარაძისა და კონსტანტინე ზანისის ფოტოკოლექციები; ასევე მომზადდა ხუთი სახალისო კითხვარი.

